



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 24 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №101/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 26 აგვისტოს №101 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 27 აგვისტოს №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

დისციპლინურ საჩივარში მითითებულია შესაძლო დისციპლინური გადაცდომის რამდენიმე ფაქტის შესახებ. კერძოდ, საჩივრის ავტორის განცხადებით:

- 1.1. --- სს საქმის 2021 წლის 24 თებერვლის სასამართლო სხდომაზე, ბრალდებული საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე. მიუხედავად ბრალდებულის სასამართლო სხდომაზე საპატიო მიზეზით არ ყოფნისა, სასამართლო საქმის პროკურორს უფლება მისცა სასამართლოზე დაეყენებინა შუამდგომლობა და დისტანციური წესით დაეკითხა არასრულწლოვანი დაზარალებული;
- 1.2. 2021 წლის 24 თებერვლის სასამართლო სხდომაზე, არასრულწლოვნის დაკითხვას ესწრებოდა 3 ქალბატონი, რომლებსაც სასამართლოსთვის არ წარუდგენიათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები;
- 1.3. 2021 წლის 26 ივლისს, მას შემდეგ რაც დაცვის მხარემ სასამართლოს წარუდგინა დასკვნითი სიტყვა, მოსამართლე ისე გავიდა სათათბირო ოთახში, რომ ბრალდებულს არ მისცა საბოლოო სიტყვის თქმის უფლება;
- 1.4. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა რამდენიმე ---, მაგრამ სასამართლოს არცერთი მათგანისთვის არ მოუთხოვია პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
- 1.5. 2021 წლის 2 მარტის სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ დასაშვებად ცნო მტკიცებულებები. საჩივრის ავტორის განმარტებით, მტკიცებულებების დასაშვებობის ეტაპზე, მოსამართლემ არასწორად განმარტა კანონი.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2020 წლის 16 ნოემბერს სისხლის სამართლის საქმე -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --.

საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში, 2021 წლის 2 მარტს გაიმართა სასამართლო სხდომა, რომლის ფარგლებში, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 239-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლომ განიხილა მხარეთა დამატებითი მტკიცებულებების საქმეზე დასაშვებობის საკითხი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 26 ივლისის განაჩენით -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157¹ მუხლის პირველი ნაწილით, 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, 139-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საბოლოო სასჯელის სახით განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების კვლევას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც აღნიშნულია წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. და 1.5. პუნქტებში, ორგანული კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება დაუშვებელია.

შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი გარემოებები წარმოადგენს მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დისციპლინური გადაცდომა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- 2021 წლის 26 აგვისტოს №101 საჩივრის საფუძველზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, მოსამართლის მიერ მტკიცებულებების დასაშვებობის კანონიერების შემოწმების მოთხოვნის ნაწილში.

2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, -- -- 2021 წლის 26 აგვისტოს №101 საჩივარში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი